ქ.ქუთაისის N33 საჯარო სკოლის დირექტორს
ქ-ნი მარინა ისკაკოვას ამავე სკოლის
მასწავლებლის გიორგი პერანიძის
2022-2023 წლის სადამრიგებლო პროგრამის ანგარიში

მე-7 ა კლასში ირიცხება 22 მოსწავლე. 11 ბიჭი და 11 გოგო. მიმდინარე სასწავლო წელს ჩემი მოვალეობის განხორციელება დავიწყე სამოქმედო გეგმის შედგენით. სასწავლო დაწყებამდე შევხვდი მშობლებს და მოსწავლეებს დავურიგე სახელმძღვანელოები ხელშეკრულების საფუძველზე და ყურადღება გავამახვილე მოსალოდნელ სირთულეებსა და ცვლილებებზე, ასევე გადავამოწმე მოსწავლეთა ელექტრონული მომხმარებლის ანგარიშების გამოყენების მზაობა. კლასში შექმნილია სწავლისა და სწავლებისათვის უსაფრთხო გარემო. მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან თავიანთი უფლება-მოვალეობების შესახებ. სწავლება მიმდინარეობს სამინისტროს მოთხოვნათა შესაბამისად. მოსწავლეებს ჩამოყალიბებული აქვთ კრიტიკული, შემოქმედებითი, თავისუფალი აზრის დაფიქსირების, სხვისი აზრის მოსმენისა და პატივისცემის, გუნდური და კონსტრუქციული თანამშრომლობის უნარ-ჩვევები. სემესტრის განმავლობაში სადამრიგებლო საათის ფარგლებში ჩატარდა: წარჩინებული მოსწავლის ეტალონი, მსგავსება და განსხვავება. სხვა ქვეყნის წესჩვეულებები და მათი "მიმღებლობა" ურთიერთობა განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანებთან, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, აქტიური მოქალაქე. ემეგობრე სამართალდამცავებს, საახალწლო მზადება საკლასო ოთახის. სემესტრის საჭიროებისამებრ ხდებოდა მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები. პირველ გაკვეთილზე ბავშვებს შევახსენე სამკერდე ნიშნები სულ 11 ცალი, რომელიც ბავშვებში ჩამოაყალიბებს მიზანდასახულ, ზრდილობიან, ბეჯით, პასუხისმგებლიან და კეთილ ადამიანებად. სემესტრის დასაწყისსა და ბოლოს ჩავატარე ტესტირება მათემატიკაში, რომლის შედეგებიც ინდივიდუალურად გავაცანი მოსწავლეებსა და მშობლებს და მივეცი რჩევა თუ რომელი განხრით სჭირდებოდა ბავშვს დახმარება რომ ზამთრის არდადეგებზე ემუშავა მათზე. ბავშვები იყვნენ ქუთაისის ეროვნულ მუზეუმში, დაესწრნენ ორ კონცერტს ლადო მესხიშვილის თეატრში. მოსეავლეებმა სემესტრის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს: მესხიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლში, სასკოლო ოლიმპიადებში ("რა, სად, როდის,", ტვინების ბრძოლა", "ეძებე ლოგიკა", ეძებე ლოგიკა2", იაზროვნე ლოგიკურად", მელომანი", საახალწლო ოლიმპიადა", სასკოლო ჩემპიონატი "მაინკრაფტში", საახალწლო მუსიკალურ ღონისძიება, უცხო ენის კათედრის სპექტაკლი.) ასევე მონაწილეობა მიიღეს ილია სახელობის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ სკრეჩის კონკურსში. სპორტის სასკოლო ოლიმპიადაში პირველი ადგილი დაიკავეს გოგონებმა და ბიჭებმა ფრენბურთში. ასევე მე-7ა კლასის მოსწავლეებმა დაგეგმეს, და ორგანიზება გაუწიეს სხვა კლასის მოსწავლეებთან ერთად, შემდეგ კონკურსებს: "რა? სად? როდის?"- მერვე და მეშვიდეკლასელებისათვის, მეხუთე და მეექვსეკლასელებისათვის- "იაზროვნე ლოგიკურად", ,"იაზროვნე ლოგიკურად2" , კლასის ნახევარზე მეტმა მიიღო მონაწილეობა ედუ-პარკშ და მასწავლებლის მაგივრად ჩაატარეს სხვადასხვა კლასებში გაკვეთილები, ჩავატარე ფარული გამოკითხვა მოსწავლეებსა(რადგან მოსწავლეები მიეჩვიონ ურთიერთშეფასებას, კარგი თვისებების ჩამოყალიბებაში, არა " მასწავლებლისათვის", არამედ მისი საკუთარი მიზნისათვის და პიროვნების ჩამოყალიბებისათვის) და მასწავლებლებს შორის თუ ვინ რომელ სამკერდე ნიშანს იმსახურებდა რომლის მიხედვითაც ბავშვებს გადაეცათ შესაბამისი სამკერდე

ნიშნები. ყველაზე კარგად შესრულებული ტესტის მქონე მოსწავლეს " ყველაზე ნიჭიერის" სამკერდე ნიშანი, ასევე ისევ მოსწავლეთა და მასწავლებელთა საერთო გადაწყვეტილებით ბავშვებს დაურიგდათ შესაბამისი სამკერდე.